ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 9/44

2024 წლის 30 ივლისი

ქალაქი ფოთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორის ანგარიშის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106[1] მუხლის მე-15 პუნქტის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის №1/5 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 118-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დადგენილი რიგითობის მიხედვით განიხილავს საკრებულოს შესაბამისი კომისია, საკრებულოს ბიურო და საკრებულო.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი1.
ცნობად იქნეს მიღებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორის ანგარიში (ანგარიში თან ერთვის).

მუხლი2.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი3.
განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ტყებუჩავა**

ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
215138143

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორის ანგარიშის შესახებ

საანგარიშო პერიოდი

01.01.2023 წ -18.09.2024 წ

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს.

სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის მოვალეობაა აღსაზრდელების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, უფლებების დაცვა, სკოლამდელი აღზრდა და მათთვის კომფორტული, უსაფრთხო და ესთეტიური გარემოს შექმნა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო დაფინანსებას და ყველა სხვა ღონისძიების გატარებას. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის, სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.

ქალაქ ფოთში ფუნქციონირებს 15 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, 69 ჯგუფი, მათ შორის სასკოლო მზაობის 19 ჯგუფი, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1335 შესაბამისი ასაკის ბავშვი. ბაგა-ბაღებში დასაქმებულია 364 თანამშრომელი, მათ შორის 162 აღმზრდელი. ყველა სკოლამდელ დაწესებულებას ემსახურება ექთანი.

სკოლამდელი გაერთიანება უზრუნველყოფს ბავშვების სკოლამდელ აღზრდას, განათლებას, 3-ჯერად კვებას და ერთჯერად წახემსებას, კომუნალურ გადასახადებს, მათ შორის გათბობის ხარჯებს და აღნიშნული სერვისი სრულიად უფასოა ბავშვებისათვის.

სკოლამდელი აღზრდა წარმოადგენს რა თვითმმართველობის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ბიუჯეტში ითვალისწინებს მნიშვნელოვან თანხას. კერძოდ, 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში სკოლამდელი გაერთიანების დაფინანსება განისაზღვრა 4 058 400 ლარით, 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში სკოლამდელი გაერთიანების დაფინანსება განისაზღვრა 4 621 500 ლარით, აღნიშნული თანხები მოიცავს პერსონალის შრომით ანაზღაურებას, ბავშვთა კვების, კომუნალურ და სხვა ხარჯებს.

2023 წელს სკ/ს გაერთიანების ბიუჯეტი განისაზღვრა **4 058 400** ლარით, ათვისება 4 037 328 ლარი, მათ შორის:

1. **შრომის ანაზღაურება---გეგმით--3 125 700 ლარი (380 თანამშრომელი) ,**

   ათვისება 3 125 628 ლარი;

2. **შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება (7 თანამშრომელი)--გეგმით -58 400 ლარი;**

   ათვისება 58 360 ლარი;

3. **ოფისის ხარჯები:** (საკომუნიკაციო, საკანცელარიო, გზავნილების, კომპიუტერების და ინტერნეტმომსახურების, კომპიუტერული აქსესუარების, მიმდინარე სარემონტო ხარჯები)—გეგმით **19 500 ლარი,**
ათვისება 19 327 ლარი
4. **კვების ხარჯები--- გეგმით 513 600** ლარი, **ათვისება 495 179 ლარი**
5. **სამედიცინო ხარჯები---გეგმით 2 700** ლარი, **ათვისება 2 700 ლარი;**
6. **რბილი ინვენტარი** ---(საფარდე ქსოვილის, ხალიჩების, ლეიბების შეძენა) გეგმით-1 100 **ლარი, ათვისება 1043 ლარი;**
7. **სხვა დანარჩენი გეგმით- 303 200 ლარი. ათვისება 301 020 ლარი მ. შ** (სარემონტო მასალის, სამეურნეო და ჰიგიენური საქონელი. სასმელი წყლის და წყალარინების გადასახადი. ბუნებრივი აირის, თხევადი გაზის, ელექტროენერგიიის გადასახადი. საკანცელარიო ხარჯები. სამზარეულოს ინვენტარის შეძენა და სხვადასხვა მომსახურება (სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევა და სხვა.);

8. **სოციალური უზრუნველყოფა- გეგმით 32 900 ლარი, ათვისება 32 804 ლარი**

10. **სხვა ხარჯები** (ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი)- გეგმით **1 100 ლარი, ათვისება 1067 ლარი;**
11. **მივლინება - გეგმით 200 ლარი. ათვისება 200 ლარი**
12. **არაფინანსური აქტივები** გეგმით 0 **ლარი.**

2024 წელს სკ/ს გაერთიანების ბიუჯეტი განისაზღვრა 4 621 500 ლარი, ათვისება 3 036 682 ლარი (01.09.2024 მდე)

1. **შრომის ანაზღაურება-** გეგმა **3 407 000 ლარი (387 თანამშრომელი), ათვისება 2 284 033 ლარი**
2. **შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება (8 თანამშრომელი)** ---გეგმა-**67 000 ლარი,**
ათვისება 43 480 ლარი
3. **მივლინება --**გეგმა-**1000 ლარი**
4. **ოფისის ხარჯები:** (საკომუნიკაციო, საკანცელარიო, გზავნილების, კომპიუტერების და ინტერნეტმომსახურების, კომპიუტერული აქსესუარების, მიმდინარე სარემონტო ხარჯები)—გეგმა- **25 000 ლარი, ათვისება 8 703 ლარი;**
5. **კვების ხარჯები--- გეგმა- 646 500 ლარი, ათვისება 376 530 ლარი;**
6. **სამედიცინო ხარჯები--გეგმა-2 000 ლარი; ათვისება - 433 ლარი**
7. **რბილი ინვენტარი** ---(საფარდე ქსოვილის, ხალიჩების, ლეიბების შეძენა)-- **გეგმა- 13 000 ლარი, ათვისება 10 249 ლარი.**
8. **სხვა დანარჩენი-**გეგმა-383 **900 ლარი. ათვისება -279 006 ლარი** (სარემონტო მასალის, სამეურნეო და ჰიგიენური საქონელი. სასმელი წყლის და წყალარინების გადასახადი. ბუნებრივი აირის, თხევადი გაზის, ელექტროენერგიიის გადასახადი. საკანცელარიო ხარჯები. სამზარეულოს

ინვენტარის შეძენა და სხვადასხვა მომსახურება (სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევა და სხვა.);

9. **სოციალური უზრუნველყოფა**--გეგმა-30 **000 ლარი, ათვისება 29 028 ლარი**
10. **სხვა ხარჯები** (ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი)--- გეგმა- **1 100 ლარი, ათვისება 622 ლარი.3**
11. **არაფინანსური ხარჯი - გეგმა 45 000 ლარი, ათვისება 4 598 ლარი**

2024 წლის მარტის თვიდან კვების დღიური თანხა თითოეულ აღსაზრდელზე 3.3 ლარიდან გაიზარდა 4.3 ლარამდე

2023-2024 წლებში ქ. ფოთის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები; რომელიც დაფინანსდა როგორც სახელმწიფო ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან:

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა N115-ში დასრულდა მშენებლობა და ექსპლუატაციაში შევიდა 125 აღსაზრდელზე გათვლილი, 4 ჯგუფიანი, თანამედროვე სტანდარტების მქონე საბავშვო ბაღი. პროექტის ღირებულებამ შეადგინა **3 884 993 ლარი.** სამუშაოები განახორციელდა კომპანია „პრაიმ ბეტონი"-ის მიერ.
2. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით, 26 მაისის ქუჩა N6-ში სრულდება 125 აღსაზრდელზე გათვლილი 5 ჯგუფიანი, სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი N1 საჯარო დაწესებულებისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის მშენებლობა და გარე სივრცის კეთილმოწყობა. პროექტის ღირებულება შეადგენს **3 460 940 ლარს.** სამუშაოებს აწარმოებს ამხანაგობა „გლობალ სერვისი"
3. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს N16 (თამარ მეფის ქუჩა 102), N10 (მარჯანიშვილის ქუჩა 17), N11 (გელა ჯიქიას ქუჩა 3) საჯარო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას (შენობა-ნაგებობის შიდა სასარგებლო ფართის სტანდარტების შესამამისად დაპროექტება-მშენებლობა, შენობის ფასადის განახლება, შენობის გადახურვის მოწყობა და სხვა კაპიტალური სარეაბილიტაციო სამუშაოები, მათ შორის გარე სივრცის კეთილმოწყობა)

ამათან აღსანიშნავია, რომ სააღმზრდელო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და სააღმზრდელო გარემოს სტანდარტების შესაბამისად წარმართვის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად მიგვაჩნია კუნძულის და ცენტრის უბანში 4 ჯგუფიანი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღების მშენებლობა.

ასევე მოგახსენებთ, რომ ქალაქ ფოთში არსებული სააღმზრდელო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას საჭიროებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საჯარო დაწესებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა შერჩევა

განხორციელდება ბაღებში აღსაზრდელების რაოდენობიდან, შენობების ლოკაციიდან და ინფრასტრუქტურის მდგომარეობიდან გამომდინარე.

ბარათაშვილის ქუჩაზე და 26 მაისის ქუჩაზე მდებარე N9 და N1 სკოლამდელი დაწესებულებებისათვის საჭირო ავეჯის, საყოფაცხოვრებო ინვენტარის, ტექნიკის, აღჭურვილობის შეძენა განახორციელდა ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების მიერ.

2022 წლის თებერვლიდან, საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი" მე-17[1] მუხლის, „ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა" და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილების მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ა(ა)პ-თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში, სურსათის უვნებლობის პროცედურების დანერგვის, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების შესაბამისად, განხორციელდა ა(ა)იპ- თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების, 15-ვე სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში HACCP კვლევის ჩატარება, HACCP სისტემის შემუშავება და დანერგვა.

ნებისმიერი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, (სახელმწიფო თუ კერძო), ვალდებულია გაიაროს ავტორიზაცია, საქართველოს მთავრობის მიერ სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

ავტორიზაცია არის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა. რომლის მიზანია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებისათვის ან მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ავტორიზაციის სტანდარტი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება შესაბამისი მომსახურების მიწოდების განსახორციელებლად. საბავშვო ბაღების ავტორიზაციის პროცესი უნდა დასრულდეს 2030 წელს. ამასთან, ბაღების ავტორიზაციის პროცესის ორგანიზებას ადგილობრივი თვითმმართველობების ნაცვლად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს. განსახორციელებელი ქმედებები მოიცავს გარდამავალ პერიოდს - 2023 წლიდან 2030 წლამდე. სკოლამდელი დაწესებულების ავტორიზაციის რეფორმა, მოიცავს როგორც სკოლამდელი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაში მოყვანას, ასევე დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას და კანონით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ფორმირებას.

ავტორიზაციის სტანდარტებია:

ა) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება;

ბ) კურიკულუმი;
გ) ოჯახისა და თემის ჩართულობა;
დ) სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა.
სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერასთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: პერსონალის მართვას და განვითარებას; პროცესების მართვას; მატერიალურ რესურსებს; კვების ორგანიზებას და კვებითი რაციონს; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებს; ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოებას; ფინანსურ რესურსებს.
აღნიშნული სტანდარტები ხელს შეუწყობს ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ჩამოყალიბებას, რომელიც მიმართულია ბავშვის განვითარებაზე, პასუხობს მის ინტერესებსა და საჭიროებებს და უზრუნველყოფს უსაფრთხო და ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნას. წყლის, სანიტარული და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას და ბავშვების სათანადო კვებით უზრუნველყოფას.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 28 ივნისის №68/ნ ბრძანებით დამტკიცებული „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის“ მიხედვით, სავალდებულოა აღმზრდელთა გადამზადება.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნი-ერების მინისტრის 2020 წლის 28 ივნისის №68/ნ ბრძანებით დამტკიცებული „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ- მოდულის“ მიხედვით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებებში დასაქმებული აღმზრდელების გადამზადება, რომლებიც აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, განხორციელდება ეტაპობრივად. აღმზრდელთა გადამზადების ხარჯები გათვალისწინებულია 2024 წლის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. აღსანიშნავია, რომ იმ აღმზრდელთათვის, რომელთაც ამ ეტაპზე არ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია, კერძოდ უმაღლესი განათლება ან პროფესიული განათლება სკოლამდელი აღზრდის სფეროში, აქვთ შესაძლებლობა, პროფესიულ კოლეჯ „ფაზისში“ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ,,სკოლამდელი აღზრდის“ დასრულებისთანავე, გაიარონ გადამზადება „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის“ მიხედვით და შეძლონ აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსის მოპოვება.

მოგახსენებთ, რომ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შემუშავდა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

ქალაქ ფოთში მოქმედმა 15-ვე სააღმზრდელო დაწესებულებამ განახორციელა პირველადი რეგისტრაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში. ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად საჯარო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინონ

თვითმეფასება, დროებითი წესის შესაბამისად. თვითმეფასების ანალიზზე დაყრდნობით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წინადადების საფუძველზე, განათლების მინისტრის ბრძანებით, დამტკიცდა რეგისტრირებული დაწესებულებების ავტორიზაციის გავლის გრაფიკი.

განხორციელდა საბავშვო ბაღების თვითმეფასებიდან მიღებული საჭიროების ანალიზი და ბაღების მხარდაჭერა განხორციელდება საჭიროებების მიხედვით. ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეტაპობრივი ავტორიზაცია 2025-2030 წლებში განხორციელდება. საბავშვო ბაღებს ავტორიზაცია, მათი მზაობის მიხედვით, წლების მიხედვით, რიგითობით მოუწევთ.

2024-2025 სასწავლო-სააღმზრდელო წელი დაიწყო 16 სექტემბერს. სასწავლო წლის დაწყებამდე 15-ვე საბავშვო ბაღი მომარაგდა საკვები პროდუქტებით, სამეურნეო და საკანცელარიო საქონლით. განხორციელდა სკ/ს დაწესებულებების სამზარეულო და სასაწყობე სივრცეების დეზინფექცია-დერატიზაცია, ჩატარდა სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევა. სურსათის ეროვნული სააგენტოს შენიშვნების შესაბამისად, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლამდელ დაწესებულებებში შესრულდა მცირე კოსმეტიკური სამუშოები და დამონტაჟდა მწერსაწინააღმდეგო ბადეები.

2025 წლის 01 იანვრიდან ქ. ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება გეგმავს აღსაზრდელთა ელექტრონული რეგისტრაციის დანერგვას, რომელიც ხელს შეუწყობს მომსახურების გამარტივება-გაუმჯობესებას (აღნიშნულთან დაკავშირებით სააღმზრდელო გაერთიანებაში მიმდინარეობს საქმისწარმოება).

პოზიტიური სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნის და სკოლამდელი აღზრდის სერვისის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზება, ქ. ფოთის საბავშვო ბაღების ტექნიკური რეგლამენტის სტანდარტის შესაბამისობაში მოსაყვანად. ასევე უმნიშვნელოვანესია, სასკოლო მზაობის პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის ბაღებისათვის შესყიდულ იქნას საჭირო ინვენტარი, სასწავლო და დამხმარე მასალა. მოხდეს კანონით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ფორმირება. მნიშვნელოვანია, ბაღებში დაინერგოს აღმზრდელ-პედაგოგების უწყვეტი განათლების უზრუნველყოფის სისტემა.

ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად მიზანშეწონილია 2025 წლისათვის გაიზარდოს აღსაზრდელთა კვების დღიური თანხა. ამ ეტაპზე ბაღებში არის მხოლოდ სამი ძირითადი კვება (საუზმე, სადილი , სამხარი) და ერთი წახემსება, ნაცვლად სამი ძირითადი კვებისა და ორი წახემსებისა.

აღნიშნული პროცესის განხორციელებაში ვიმედოვნებთ როგორც სახელმწიფო ასევე ადგილობრივი ხელისუფლების უპირობო მხარდაჭერას, რათა წარმატებულად შევძლოთ აღნიშნული რეფორმის ჩვენს ქალაქში გატარება.

ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქ ფოთის

სკოლამდელი სააღმზრდელო

გაერთიანების დირექტორი:

გ. ლორთქიფანიძე